

ლოგიკური მსჯელობა და რაოდენობრივი მსჯელობა

დღეს გამოცდა ჩატარდება ლოგიკურ მსჯელობასა და რაოდენობრივ მსჯელობაში.

1. ლოგიკური მსჯელობის ნაწილი შედგება 17 ტესტური დავალებისაგან.
ტესტის ამ ნაწილის მაქსიმალური ქულაა 17.
ტესტის ამ ნაწილის შესასრულებლად გეძლევათ 1 საათი და 10 წუთი.
2. რაოდენობრივი მსჯელობის ნაწილი შედგება 19 დავალებისაგან.
ტესტის ამ ნაწილის მაქსიმალური ქულაა 19.
ტესტის ამ ნაწილის შესასრულებლად გეძლევათ 1 საათი და 15 წუთი.

სწორი პასუხის გაცემისათვის იწერება 1 ქულა.

თუ არცერთი პასუხი არ არის მონიშნული, იწერება 0 ქულა.

არასწორი პასუხისათვის აკლდება 0,2 ქულა (ანუ იწერება -0,2 ქულა).

გისურვებთ წარმატებას!



ლოგიკური მსჯელობა
დამატებითი სესია

17 დავალება
დრო – 1 სთ 10 წთ

1. მოცემულია წინადადება:

- თითოეულ მცენარეს აქვს მერქანი, თუმცა არ აქვს გაშლილი ყვავილი.

ჩამოთვლილთაგან რომელი არ ეწინააღმდეგება მოცემულ წინადადებას?

- (ა) ზოგიერთ მცენარეს აქვს გაშლილი ყვავილი, თუმცა მას არ აქვს მერქანი.
- (ბ) ზოგიერთ მცენარეს არც მერქანი აქვს და არც გაშლილი ყვავილი.
- (გ) არცერთ მცენარეს არ აქვს მერქანი, თუმცა თითოეულს აქვს გაშლილი ყვავილი.
- (დ) ერთ მცენარეს მაინც არ აქვს მერქანი და ერთ მცენარეს მაინც აქვს გაშლილი ყვავილი.
- (ე) ერთ მცენარეს მაინც აქვს მერქანი და არცერთ მცენარეს არ აქვს გაშლილი ყვავილი.

2. მთავარი როლისთვის კასტინგზე მიმდევრობით სულ ექვსი მსახიობი – გიორგი, ზაური, ლევანი, მირიანი, ოთარი, რაული – თითოჯერ გამოვიდა. მათგან მხოლოდ ერთი დაამტკიცეს მთავარ როლზე. ცნობილია, რომ:

- ლევანი მეექვსე გამომსვლელი იყო.
- რაულისა და ოთარის გამოსვლებს შორის ორი მსახიობი გამოვიდა.
- გიორგისა და ლევანის გამოსვლებს შორის სამი მსახიობი გამოვიდა.
- მირიანისა და ლევანის გამოსვლებს შორის ორი მსახიობი გამოვიდა.
- რაული პირველი არ გამოსულა. მთავარ როლზე კასტინგზე მისი მომდევნო გამომსვლელი დაამტკიცეს.

რომელი მსახიობი დაამტკიცეს მთავარ როლზე?

(ა) გიორგი

(ბ) ზაური

(გ) ლევანი

(დ) მირიანი

(ე) ოთარი

3. ჭადრაკში ოთხთა ტურნირში მონაწილეობდნენ: ანანი, სო, ტოპალოვი და ჰარიკრიშნა. თითოეული თითოჯერ შეხვდა დანარჩენ სამს. ცნობილია, რომ:

- ანანი დამარცხდა ტოპალოვთანაც და სოსთანაც.
- სომ და ანანი ერთი და იმავე რაოდენობის შეხვედრა მოიგეს.
- არცერთი შეხვედრა არ დასრულებულა ყაიმით.

ჩამოთვლილთაგან რომელი გამომდინარეობს მოცემულობიდან?

- (ა) ანანი დამარცხდა ჰარიკრიშნასთან.
- (ბ) სო დამარცხდა ტოპალოვთან.
- (გ) ტოპალოვი დამარცხდა ჰარიკრიშნასთან.
- (დ) ჰარიკრიშნა დამარცხდა სოსთან.
- (ე) ჰარიკრიშნა დამარცხდა ტოპალოვთან.

4. კომპანიის მიერ იმ თანამშრომლების სამსახურში უკან მიღება, რომლებიც მანამდე ამ კომპანიას საკუთარი ინიციატივით ტოვებდნენ, მიზანშეწონილად არ იყო მიჩნეული, რადგან მათი წასვლა არალოიალობის გამოვლინებად აღიქმებოდა. თუმცა, კვალიფიციურ მუშახელზე მნიშვნელოვანი მოთხოვნის პირობებში, კომპანიებს ასეთ, ე. წ. ბუმერანგ თანამშრომლებზე არსებული შეხედულებების გადახედვა უწევთ. ერთ-ერთი რეკომენდაციის თანახმად, კომპანიებისათვის სამსახურში ბუმერანგი თანამშრომლის აყვანა უმჯობესია, ვიდრე ახალი კადრის მიღება.

ჩამოთვლილთაგან ყველა, გარდა ერთისა, გააძლიერებს რეკომენდაციის მართებულობას. რომელია ის ერთი?

(ა) ბუმერანგი თანამშრომლები იმ შემთხვევაში ბრუნდებიან ძველ დამსაქმებლებთან, როცა მათი წასვლა განპირობებული იყო პოზიტიური ან ნეიტრალური მიზეზებით, მაგ.: კარიერული წინსვლით, საცხოვრებელი ადგილის შეცვლით და სხვ.

(ბ) სრულიად ახალ გარემოში მოხვედრისას დასაქმებულებს ხშირად სჭირდებათ ადაპტაციისთვის გარკვეული პერიოდი, ვიდრე მოვალეობის სრულფასოვნად შესრულებას შეძლებენ.

(გ) ბუმერანგი თანამშრომლები მათზე დაკისრებულ მოვალეობებს, როგორც წესი, უწინდელზე უკეთ არ ასრულებენ, თუმცა არც უარესად, რაც დამსაქმებელს რეალურ მოლოდინს უქმნის.

(დ) უცხო ადამიანის სამსახურში აყვანასთან დაკავშირებული რისკების გათვლა ბევრად რთულია, ვიდრე უკვე ნაცნობი ყოფილი თანამშრომლის აყვანასთან დაკავშირებული რისკების.

(ე) ბუმერანგი თანამშრომლები უკვე ერკვევიან კომპანიაში მიმდინარე პროცესების სპეციფიკაში და შეუძლიათ სამუშაოს დაწყებისთანავე ეფექტიანები იყვნენ დამსაქმებლისათვის.

5. მასპინძელი ბავშვებს სხვადასხვანაირი ნაყინით გაუმასპინძლდა. ზოგიერთმა ბავშვმა რამდენიმე ნაყინი შეჭამა. ამასთან, მათი რაოდენობა, ვინც შოკოლადის ნაყინი შეჭამა, ნაკლები იყო ბიჭების რაოდენობაზე, ხოლო ვანილის ნაყინი მხოლოდ გოგონებმა შეჭამეს.

ჩამოთვლილთაგან რომელი დასკვნა **გამომდინარეობს** მოცემულობიდან?

- (ა) ზოგიერთ ბავშვს ნაყინი საერთოდ არ უჭამია.
- (ბ) ზოგიერთმა ბავშვმა ვანილის ნაყინიც ჭამა და შოკოლადისაც.
- (გ) მათი რაოდენობა, ვინც ვანილის ნაყინი შეჭამა, გოგონების რაოდენობაზე მეტი იყო.
- (დ) ერთი ბავშვი მაინც იყო, რომელსაც არც შოკოლადის ნაყინი უჭამია, და არც ვანილის.
- (ე) არცერთ ბავშვს არ უჭამია ვანილის ნაყინიც და შოკოლადის ნაყინიც.

6. მდინარეზე სამი – R, S და T – წყლის წისქვილია აშენებული. ცნობილია, რომ:

- ყოველ მომენტში R და S წისქვილებიდან ერთი მაინც არ მუშაობს.
- R და T წისქვილები ერთდროულად არასოდეს მუშაობს.

ჩამოთვლილთაგან რომელი დასკვნაა სწორი?

- (ა) ერთდროულად სამივე წისქვილი გაჩერებული ვერ იქნება.
- (ბ) თუ T წისქვილი მუშაობს, მაშინ S წისქვილი გაჩერებულია.
- (გ) მდინარეზე ყოველ მომენტში მინიმუმ ორი წისქვილი გაჩერებულია.
- (დ) S წისქვილის მუშაობის შემთხვევაში R და T წისქვილები გაჩერებულია.
- (ე) როცა R წისქვილი მუშაობს, დანარჩენი ორი აუცილებლად გაჩერებულია.

7. ჩამოთვლილი სამი მსჯელობიდან რომელია ლოგიკურად მართებული?

- I. ყოველი მძაფრი მოგონება კვალს ტოვებს ცნობიერებაში. ზოგიერთი წარუმატებლობა მძაფრი მოგონებაა. მაშასადამე, ზოგიერთი წარუმატებლობა კვალს ტოვებს ცნობიერებაში.
- II. ყოველი წარუმატებლობა მძაფრი მოგონებაა. ზოგიერთი მძაფრი მოგონება კვალს ტოვებს ცნობიერებაში. მაშასადამე, ზოგიერთი წარუმატებლობა კვალს ტოვებს ცნობიერებაში.
- III. ზოგიერთი წარუმატებლობა მძაფრი მოგონებაა. ზოგიერთი მძაფრი მოგონება კვალს ტოვებს ცნობიერებაში. მაშასადამე, ზოგიერთი წარუმატებლობა კვალს ტოვებს ცნობიერებაში.

(ა) მხოლოდ I.

(ბ) მხოლოდ II.

(გ) მხოლოდ III.

(დ) მხოლოდ I და II.

(ე) მხოლოდ I და III.

8. ბოლო პერიოდში სულ უფრო აქტიურად განიხილავენ, უმჯობესია თუ არა 5-დღიანი (40-საათიანი) სამუშაო კვირის 4 დღემდე (32 საათამდე) შემცირება. ოპონენტების მოსაზრებით, ჯამურად შესრულებული სამუშაო 15%-ით მოიკლებს. ისინი ასკვნიან, რომ ეკონომიკას ეს საკმაოდ ძვირი დაუჯდება.

ჩამოთვლილთაგან ყველაზე მეტად რომელი დააყენებს **ექვემო** ოპონენტთა დასკვნის მართებულობას?

- (ა) სოციოლოგიური კვლევით დადგინდა, რომ დასაქმებულები 5-დღიან სამუშაო კვირას 4-დღიანს ამჯობინებენ.
- (ბ) თავის დროზე 40-საათიანი სამუშაო კვირის შეზღუდვის შემოღებას უარყოფითი გავლენა არ მოუხდენია ეკონომიკაზე.
- (გ) ეკონომიკისათვის მიყენებული ზიანი სამუშაო საათების პროცენტული შემცირების პროპორციული იქნება.
- (დ) შემცირებული სამუშაო საათების პირობებში დასაქმებულთა მწარმოებლურობა მნიშვნელოვნად გაიზარდება.
- (ე) ოპონენტების აზრით, შემცირებული საათების პირობებში დასაქმებულები უფრო ნაკლებ სამუშაოს შეასრულებენ.

9. ლიკას სურვილი ჰქონდა, დასწრებოდა სამდღიან ფესტივალს, რომელიც პარასკევს, შაბათსა და კვირას ტარდებოდა, თუმცა ვერაფრით გადაწყვიტა, რომელ დღეებში წასულიყო და წამდაუწუმ ცვლიდა გადაწყვეტილებას:

ორშაბათი დილა: შაბათს დავესწრები.

ორშაბათი საღამო: ან სამივე დღეს დავესწრები, ან მხოლოდ პარასკევსა და კვირას.

სამშაბათი დილა: პარასკევს დავესწრები.

სამშაბათი საღამო: შაბათსაც დავესწრები და კვირასაც.

ოთხშაბათი დილა: კვირას დავესწრები.

ოთხშაბათი საღამო: პარასკევს დავესწრები.

ლიკას მიერ თითოეულ დღეს ნათქვამი ორი წინადადებიდან ერთი ჭეშმარიტი გამოდგა, ერთი კი – მცდარი. რომელ დღეზე შეიძლება ითქვას დანამდვილებით, რომ ლიკა ამ დღეს დაესწრო ფესტივალს?

(ა) მხოლოდ პარასკევზე.

(ბ) მხოლოდ შაბათზე.

(გ) პარასკევსა და შაბათზე.

(დ) პარასკევსა და კვირაზე.

(ე) შაბათსა და კვირაზე.

10. სტატისტიკის თანახმად, ქალაქ აურიუმში მცხოვრებთა საშუალო შემოსავალი მნიშვნელოვნად აღემატება ქვეყნის სხვა დასახლებულ პუნქტებში მცხოვრებთა საშუალო შემოსავალს. მიუხედავად ამისა, აურიუმის მოსახლეობის ცხოვრების პირობებით კმაყოფილების ინდექსი არ აღემატება ქვეყნის რამდენიმე სხვა დასახლებულ პუნქტში მცხოვრებთა ანალოგიურ ინდექსს.

ჩამოთვლილთაგან ყველაზე მეტად რომელი გააქარწყლებს მოჩვენებით წინააღმდეგობას სტატისტიკურ მონაცემებს შორის?

- (ა) აურიუმში მცხოვრებთათვის ხელმისაწვდომი სამედიცინო სერვისები არ არის უკეთესი ქვეყნის სხვა დასახლებულ პუნქტებში ხელმისაწვდომ სერვისებზე.
- (ბ) გლობალური რეცესიის პირობებში, მთელ ქვეყანაში, მათ შორის აურიუმშიც, ახლო მომავალში ელოდებიან ეკონომიკური აქტივობის შემცირებას.
- (გ) მოსახლეობის საშუალო შემოსავალი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია საკუთარი ცხოვრების პირობებით კმაყოფილების თვითშეფასებისას.
- (დ) აურიუმი, ქვეყნის სხვა ნაწილებთან შედარებით, განსაკუთრებულად ცუდი კლიმატით, ცივი ზამთრითა და ცხელი ზაფხულით გამოირჩევა.
- (ე) აურიუმის მოსახლეობის ცხოვრების პირობებით კმაყოფილების ინდექსი, სხვა ქალაქებისგან განსხვავებით, ათეული წლის წინანდელთან შედარებით მნიშვნელოვნად გაიზარდა.

11. სხვადასხვა კომპანიის მიერ წარმოებული საფერავისა და ალადასტურის ფარულ დეგუსტაციაზე მიღებული შეფასებები სრულადაა მოცემული ცხრილში. ამ ცხრილის მიხედვით, ღვინოების შესახებ გამოთქმული წინადადებებიდან რომელია **ჭეშმარიტი**?

- I. რომელიღაც საფერავმა თითოეულ ალადასტურზე მეტი ქულა დააგროვა.
- II. თითოეულმა ალადასტურმა თითოეულ საფერავზე ნაკლები ქულა დააგროვა.
- III. არსებობს ალადასტური, რომელმაც რომელიღაც საფერავზე მეტი ქულა დააგროვა.

- (ა) მხოლოდ III.
- (ბ) მხოლოდ I და II.
- (გ) მხოლოდ I და III.
- (დ) მხოლოდ II და III.
- (ე) თითოეული.

სადეგუსტაციო ნიმუში	ღვინო	ქულა
A კომპანია	საფერავი	49
B კომპანია	ალადასტური	48
C კომპანია	საფერავი	46
C კომპანია	ალადასტური	45
B კომპანია	საფერავი	45
D კომპანია	ალადასტური	44

ამოცანები 12-14 შემდეგ მოცემულობას ეყრდნობა:

რვა მოტოციკლისტი – A, B, C, D, E, F, G და H – გზაზე ერთ მწკრივად მიდის 5 მოტოციკლით. ცნობილია, რომ:

- ზოგ მოტოციკლზე ორი ადამიანი ზის, დანარჩენზე – მხოლოდ ერთი.
- H და B ერთ მოტოციკლზე სხედან.
- E და D სხვადასხვა მოტოციკლზე სხედან.
- A მოტოციკლზე მარტო ზის.
- C მოტოციკლზე მარტო არ ზის.
- მეორე მოტოციკლზე მხოლოდ ერთი ადამიანი ზის.
- D არ ზის არც პირველ და არც მეორე მოტოციკლზე.
- G ზის მოტოციკლზე, რომლის უშუალოდ მომდევნო მოტოციკლზე ზის F.

12. ჩამოთვლილთაგან რომელი შეიძლება იყოს მოტოციკლისტთა სწორი განაწილება?

	I მოტოციკლი	II მოტოციკლი	III მოტოციკლი	IV მოტოციკლი	V მოტოციკლი
(ა)	H და B	E	A	G და C	F და D
(ბ)	A	C	H და B	E და G	F და D
(გ)	A	G	C და F	E და D	H და B
(დ)	C და G	F	H და E	B და D	A
(ე)	A	G	H და B	E და F	C და D

13. თუ H მეოთხე მოტოციკლზე ზის, მაშინ ჩამოთვლილთაგან რომელია აუცილებლად მცდარი?

- (ა) A მეორე მოტოციკლზე ზის.
- (ბ) C პირველ მოტოციკლზე ზის.
- (გ) D მესამე მოტოციკლზე ზის.
- (დ) E მეხუთე მოტოციკლზე ზის.
- (ე) G პირველ მოტოციკლზე ზის.

14. თუ G მეორე, ხოლო E მეოთხე მოტოციკლზე ზის, მაშინ ჩამოთვლილთაგან რომელია აუცილებლად ჭეშმარიტი?

- (ა) A პირველ მოტოციკლზე ზის.
- (ბ) B პირველ მოტოციკლზე ზის.
- (გ) D მესამე მოტოციკლზე ზის.
- (დ) H მეხუთე მოტოციკლზე ზის.
- (ე) F მეორე მოტოციკლზე ზის.

ამოცანები 15-17 შემდეგ მოცემულობას ეყრდნობა:

მობილური სამედიცინო ჯგუფი შემდეგი პირობების დაცვით უნდა დაკომპლექტდეს:

- ჯგუფი უნდა დაკომპლექტდეს ხუთი წევრით: 2 ექიმითა და 3 ექთნით.
- ექიმები შეიძლება იყვნენ მხოლოდ: ალანია, ბეჟიაშვილი, გობრონიძე და დადიანი.
- ექთნები შეიძლება იყვნენ მხოლოდ: მანელიძე, ნანავა, ოთარაშვილი, პატაშური და ჟღენტი.
- თუ ჯგუფში იქნება ოთარაშვილი, მაშინ არ იქნება არც ნანავა და არც დადიანი.
- ჯგუფში არ იქნება მანელიძე, თუ არ იქნება ბეჟიაშვილი.
- თუ ჯგუფში იქნება ნანავა, მაშინ იქნება მანელიძეც.
- თუ ჯგუფში არ იქნება გობრონიძე, არ იქნება არც პატაშური.

15. ჩამოთვლილთაგან რომელი შეიძლება იყოს ჯგუფის წევრების სია?

- (ა) ალანია, დადიანი, მანელიძე, ნანავა, ჟღენტი.
- (ბ) ალანია, გობრონიძე, ნანავა, პატაშური, ჟღენტი.
- (გ) გობრონიძე, დადიანი, მანელიძე, ნანავა, ოთარაშვილი.
- (დ) ალანია, ბეჟიაშვილი, ოთარაშვილი, პატაშური, ჟღენტი.
- (ე) ბეჟიაშვილი, გობრონიძე, მანელიძე, ოთარაშვილი, პატაშური.

16. თუ ჯგუფის წევრები არიან ბეჟიაშვილი და ალანია, მაშინ ჩამოთვლილთაგან რომელი შეიძლება წარმოადგენდეს ჯგუფის წევრ ექთანთა სიას?

- (ა) მანელიძე, ნანავა, ოთარაშვილი.
- (ბ) მანელიძე, ოთარაშვილი, პატაშური.
- (გ) მანელიძე, ოთარაშვილი, ჟღენტი.
- (დ) მანელიძე, პატაშური, ჟღენტი.
- (ე) ნანავა, ჟღენტი, პატაშური.

17. ჩამოთვლილთაგან რომელი ვერ იქნება ჯგუფის ექიმ წევრთა შემადგენლობა?

- (ა) ალანია და ბეჟიაშვილი.
- (ბ) ალანია და გობრონიძე.
- (გ) ბეჟიაშვილი და გობრონიძე.
- (დ) ბეჟიაშვილი და დადიანი.
- (ე) გობრონიძე და დადიანი.

ტესტის დასასრული